

შპს “თორიჯორჯია“-ს

საწყისი ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3-4
საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	5-6
საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8-13

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნები	31-12-19	31-12-18
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	401,367	291,199
სავაჭრო მოთხოვნები		1,209,971	1,041,332
გადახდილი ავანსები	7	2,962	74,082
მარაგები	8	787,400	764,780
მზა პროდუქცია		-	-
სხვა		787,400	764,780
საინვესტიციო ქონება		-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	9	10,701	9,565
ბიოლოგიური აქტივები		-	-
თვითღირებულების მოდელით		-	-
გადაფასების მოდელით		-	-
გუდვილი		-	-
სხვა არამატერიალური აქტივები		8,374	4,019
ძირითადი საშუალებები		710,972	384,221
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-
სულ აქტივები		3,131,747	2,569,198

ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულება		89,088	-
სავაჭრო ვალდებულებები		1,212,551	1,104,928
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		30,363	21,181
საგადასახადო ვალდებულებები		8,342	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		299,566	218,394
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		480,658	308,176
მიღებული გრანტები		-	-
სხვა ვალდებულებები	10	4,502	5,464
სულ ვალდებულებები		2,125,070	1,658,143
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	11	200	200
საემისიო შემოსავალი		-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1,006,477	910,855
გადაფასების რეზერვი		-	-
სხვა რეზერვები		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		1,006,677	911,055
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3,131,747	2,569,198

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2019 წელი	2018 წელი
ნეტო ამონაგები		6,749,242	7,833,675
საქონლის გაყიდვიდან	3	6,733,829	7,818,421
მომსახურების გაწევიდან		-	-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-	-
სხვა	3	15,413	15,254
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(5,351,157)	5,824,395
საწყისი მარაგები		-	583,242
მარაგების შესყიდვა		-	6,005,932
გადამუშავების დანახარჯები		-	-
საბოლოო მარაგები		-	764,780
საერთო მოგება		1,398,085	2,009,280
სხვა შემოსავალი	4	62,971	23,048
დასაქმებულთა ანაზღაურება (-)		(680,728)	(576,438)
ცვეთა და ამორტიზაცია (-)		(80,067)	(56,414)
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი (-)		(66,692)	(43,111)
იჯარის ხარჯი (-)		(23,000)	(20,329)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	5	(313,918)	(383,589)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,101,434)	(1,056,832)
საოპერაციო მოგება		296,651	952,448

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:

ფინანსური აქტივები (-)	-	-
მარაგები (-)	-	-
სხვა არაფინანსური აქტივები (-)	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	(33,463)	(109,998)
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	263,188	842,450
მოგების გადასახადი (-)	6 (25,135)	(57,096)
მოგება/(ზარალი)	238,053	785,354
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	238,053	785,354
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	911,055	449,246
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(142,431)	(323,545)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,006,677	911,055

საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2019 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	173,133
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(372,244)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	342,742
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	143,631
სავალუტო კურსის ეფექტი	(33,463)
 ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	 291,199
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	401,367

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თორიჯორჯია“ (ს/ნ 200276487) (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია 2009 წლის 20 ოქტომბერი. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ. თბილისის, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გლდანი, „პატარა ვაკე“. შპს „თორიჯორჯია“-ს მესაკუთრე არის: 1) დიმიტრი ბოგვერაძე (პ/ნ 01003004973) - 100%; კომპანიის დირექტორი არის სოფიკო ბოგვერაძე (პ/ნ 62011003490). კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საბითუმო და საცალო ვაჭრობა საყოფაცხოვრებო საქონლით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების მისი შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

სკს-ს მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ დივიდენდები განაწილებულია 2008-2016 წლებში დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, მაშინ მოგების გადასახადის ვალდებულება საწარმოს არ წარმოეშვება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის

განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად.

იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია, როგორც მეიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში ფულის ნაშთისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ამონაგები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან	6,733,829	7,818,421
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	15,413	15,254
	<u>6,749,242</u>	<u>7,833,675</u>

4. სხვა შემოსავალი

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
შემოსავალი მყიდველზე დაკისრებული ჯარიმიდან	-	1,702
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	62,971	21,346
	<u>62,971</u>	<u>23,048</u>

5. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
საწვავის ხარჯი	-	168,943
სარეკლამო ხარჯი	84,730	51,927
საოფისე ინვენტარის ხარჯი	15,000	10,731
კომუნიკაციის ხარჯი	18,403	21,040
დაზღვევის ხარჯი	21,607	8,683
ძირითადი საშუალებები საექსპლუატაციო ხარჯი	100,376	72,310
საკონსულტაციო ხარჯი	17,405	22,551
მივლინების ხარჯი	3,741	4,205
ბანკის მომსახურების ხარჯი	8,215	11,220
საქველმოქმედო ხარჯი	2,201	1,469
საექვო მოთხოვნებთან ხარჯი	909	-
საპენსიო ხარჯი	13,474	-
სხვა საგადასახადო ხარჯი	3,951	-
სხვა ხარჯები	23,906	10,510
	<u>313,918</u>	<u>383,589</u>

6. მოგების გადასახადი

2019 წლის საანგარიშო პერიოდში კომპანიის მიერ ბიუჯეტში გადასახდელმა მოგების გადასახადმა შეადგინა 25,135 ლარი, ხოლო 2018 წლის საანგარიშო პერიოდში - 57,096 ლარი. აღნიშნული თანხა შეაგენდა გაცემული დივიდენდის (2019 წელი - 142431.36/0,85*0,15 ; 2018 წელი - 323,545/0,85*0,15) კუთვნილ მოგების გადასახადს.

7. ფული და ფულის ექვივალენტები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	341,688	226,435
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	28	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	45,909	60,873
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	13,742	13,622
საბანკო ოვერდრაფტი	-	(9,731)
	<u>401,367</u>	<u>291,199</u>

8. მარაგები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
საქონელი	787,400	583,242
	<u>787,400</u>	<u>583,242</u>

9. სხვა მიმდინარე აქტივები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
მოთხოვნები ანგარიშვალდ. პირის მიმართ	403	786
წინასწარ გაწეული ხარჯები	10,298	
	<u>10,701</u>	<u>786</u>

10. სხვა ვალდებულებები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
მიღებული ავანსები	4,502	5,463
	<u>4,502</u>	<u>5,463</u>

11. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 01 იანვრისთვის შეადგენდა 200 ლარს და მას სრულად ფლობენ დამფუძნებელი.

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 13 ოქტომბერს.

შპს „თორიჯორჯია“-ს

დირექტორი: სოფიკო ზოგვერაძე /

11. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 01 იანვრისთვის შეადგენდა 200 ლარს და მას სრულად ფლობენ დამფუძნებელი.

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 13 ოქტომბერს.

შპს „თორიჯორჯია“-ს

დირექტორი: სოფიკო ზოგვერაძე /

